



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №13

2017 წელი 23 მარტი

ქ.ბათუმი

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის კერძო სამართლის იურიდიული პირის სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს დაფუძნებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ**

2016 წლის 28 ოქტომბრის №81 განკარგულებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა თანხმობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თვითმმართველი ქალაქ ბათუმსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებს შორის გასაფორმებელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელის მოწერის. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე 2016 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული იქნა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თვითმმართველი ქალაქ ბათუმსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებს შორის, ხოლო აღნიშნული მემორანდუმის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ აჭარის სოფლისა და დაბების ტიპის დასახლებებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტის ხელშეწყობის მიზნით დააფუძნონ კერძო სამართლის იურიდიული პირი სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“, რომლისთვისაც საჭიროა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 21-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევის მიზნით ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად დააფუძნონ ამ კანონით გათვალისწინებული ერთობლივი კერძო სამართლის იურიდიული პირი ან გახდნენ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორი/აქციონერი/დამფუძნებელი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრები.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლისა და 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა კერძო სამართლის იურიდიული პირის სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს დაფუძნებასთან დაკავშირებით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.